საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1470
03/05/2022

1470-21-2-202205031723

**ი/მ პოღოს გრიგორიანს**
**მის:** ახალქალაქის მინიციპალიტეტი, სოფ.ტურცხი
**ელ.ფოსტა:** pogos-pogos00@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7577 განცხადება, რომელიც ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. კოთელიაში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია, რომ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები შეიკრიბება საპროექტო ტერიტორიასთან არსებულ სანიაღვრე არხში, რომელთან დაკავშირებით კომპანიამ მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის მიღების თაობაზე, რის შემდგომაც მოხდება შეთანხმების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება. შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 100 მეტრით, თუმცა, მითითებული არ არის მისი სახელწოდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო